

1. არჩევითი კომპონენტების მოდულის სტრუქტურა

1. არჩევითი კომპონენტების მოდული შეიცავს 4 კომპონენტს

- პროფესორის ასისტენტობა
- სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემისთვის
- უცხოეთის უნივერსიტეტში მოსმენილი კურსები
- სხვა არჩევითი კურსები მეცნიერ-ხელმძღვანელის მითითებით

2. პროფესორის ასისტენტობა, კრედიტი – 10, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

განუვითაროს დოქტორანტებს აკადემიურ ჯგუფთან მუშაობა, მისი მართვისა და სასწავლო მასალის ეფექტურად გადაცემის უნარი.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს შემდეგი აქტივობის განხორციელება:

- 5 სალექციო და 5 სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება – 20სთ.
- 3 პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობის ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკადემიურ ჯგუფებში – 24 სთ.
- 2 ლექციის მომზადება და ჩატარება – 16სთ.
- 2 სილაბუსის შექმნა ან მონაწილეობის მიღება მის მომზადებაში – 10სთ.
- 2 შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის მასალის მომზადება – 12სთ.
- 20 სტუდენტური ნაშრომის გასწორება – 50სთ.
- 3 საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზირება – 15სთ.
- აკადემიურ ჯგუფთან ტუტორული მუშაობა – 103სთ.

შეფასება:

შუალედური შეფასება (60%) იყოფა ოთხ კონკონენტად:

- ა) 2 სილაბუსის შეფასება (20%).
- ბ) 3 შუალედური და 3 დასკვნითი შეფასებისთვის მომზადებული მასალის შეფასება (10%).
- გ) 3 საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზიის შეფასება (15%).
- დ) 20 სტუდენტური ნაშრომის გასწორების შეფასება (15%).

დასკვნითი შეფასება (40%) იყოფა ოთხ კომპონენტად:

- ა) 2 ლექციის ჩატარება შუალედური გამოცდით შეფასებული სილაბუსის საფუძველზე – (15%).

- ბ) 3 შუალედური და 3 დასკვნითი გამოცდის ჩატარება შუალედური გამოცდით შეფასებული მასალის გამოყენებით – (5%).
- გ) 5 სასემინარო/პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება შუალედური გამოცდით შეფასებული სილაბუსის საფუძველზე – (10%).
- დ) ტუტორული მუშაობა (10%).

განმარტებები:

- ✓ შეფასების კომპონენტებთან მითითებული საათების რაოდენობა მოიცავს შესრულებულ აქტივობებსა და მათი მომზადებისთვის დახარჯულ დროს.
- ✓ პროფესორის ასისტენტობის კომპონენტს ავასებს პროფესორი, ვისაც დოქტორანტი უწევს ასისტენტობას.
- ✓ ლექციისა და სასემინარო/პრაქტიკული მეცადინეობის შეფასების კრიტერიუმად გამოყენება, სტუდენტთა მიერ ლექტორის შეფასების, უნივერსიტეტში დადგენილი ფორმა და პროფესორის პირადი შთაბეჭდილება: მასალის გასაგებად გადაცემა, ჯგუფის შემეცნებითი აქტივობის უზრუნველყოფა, დავალების მიცემა, ტექნიკური საშუალებების გამოყენება. სხვა კომპონენტების შემთხვევაში კრიტერიუმად ჩაითვლება დოქტორანტის პასუხისმგებლობა, პედაგოგიური ტაქტი, ორგანიზებულობა და სხვ.
- ✓ პროფესორის ასისტენტობის კომპონენტის შესრულებისგან თავისუფლდებიან დოქტორანტები, რომლებიც არჩეული არიან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ან 1 წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ თანამდებობაზე.

3. სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემისთვის.

- სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემისთვის, კრედიტი 10, სასწავლო კვირა 19.

მიზანია:

- დოქტორანტმა ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე ჩამოყალიბოს საკუთარი კვლევის შედეგები, უჩვენოს სამეცნიერო საზოგადოებასთან მეცნიერული დისკუსიის უნარი.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- საკუთარი კვლევის შედეგები ასახოს სტატიის ფორმატით ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემის სტანდარტებს.

შეფასება:

- შუალედური შეფასებას (60%) ახორციელებს ორი ექსპერტი – ერთი უცხოელი.
- დასკვნით შეფასებად ჩაითვლება უცხოურ გამოცემაში სტატიის დაბეჭდვის ფაქტი. შეფასება განისაზღვრება მაქსიმალური ქულით.

- იმ შემთხვევაში თუ შუალედური შეფასების ქულისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით დოქტორანტს უგროვდება 51 ქულა, იგი დასკვნითი შეფასების ვალდებულებისგან შეიძლება განთავისუფლდეს საკუთარი სურვილით.

4. უცხოეთის უნივერსიტეტში მოსმენილი კურსი, კრედიტი – 10, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

- დოქტორანტმა გაიფართოვოს ცოდნა და დახვეწოს ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეცნიერო/აკადემიურ საზოგადოებასთან, კურსის გავლა გამოიყენოს ინტერდისციპლინარული კვლევის მიზნებისთვის.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- უცხოეთის უნივერსიტეტში სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტის გავლა და დადებითი შეფასების მიღება, საკუთარი კვლევისთვის დამატებითი მასალის მოძიება და გამოყენება, რითაც გაამდიდრებს საკუთარი ნაშრომს და საფუძვლად დაუდებს მეცნიერული მიზნების, სიახლეების განეროებას.

განმარტებები:

- ✓ უცხოეთის უნივერსიტეტი შეიძლება დოქტორანტმა თავად შეარჩიოს ან სკოლამ შესთავაზოს.
- ✓ დაფინანსებას გამოყოფს უნივერსიტეტი ან დოქტორანტი თავად მოიპოვებს გრანტს.
- ✓ კრედიტის აღიარება განხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესით.

5. არჩევითი კურსი მეცნიერ-ხელმძღვანელის მითითებით, კრედიტი – 10, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

დოქტორანტმა გაიფართოვოს ცოდნა იმ საკითხებში, რომელსაც მეცნიერ-ხელმძღვანელი ან სტუდენტი თვლის არასაკმარისად, ან ეს კურსი მისი კვლევისათვის აუცილებელ ინფორმაციას შეიცავს, ან აუცილებელია ინტერდისციპლინარული კვლევისთვის.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- მოსმენილი კურსი წარმატებით დაძლიოს, გამოკვეთოს მისთვის საჭირო საკითხთა/პრობლემათა წრე და გამოიყენოს საკუთარ კვლევისთვის.

✓

განმარტებები:

- ✓ ამ კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი ბლოკ-სემინარის ან უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტში, რომელთანაც გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება.
- ✓ კრედიტების აღიარება განხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესით.